განვითარებული ფეოდალიზმის ვასალიტეტი და „ვეფხისტყაოსნის“ პატრონყმობა, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენი

ეკატერინე გოგიაშვილი
ევროპული განათლების აკადემია
e-mail: ekaterinegogiashvili@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2022.774

XII-XIII საუკუნეებში საქართველო ხდება ერთიანი, ცენტრალიზებული მძლავრი სახელმწიფო, რომლის საზღვრები შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ჩრდილო კავკასიიდან სპარსეთის აზერბაიჯანსა და არზრუმამდე აღწევს. ჩვენი ქვეყნის ამ პერიო-დის პოლიტიკურ-კულტურული, სოციალური, ეკონომიკური თუ ყველა სხვა მიმართუ-ლებით უდიდესი აღმავლობის საფუძველსა და სოციალურ საყრდენს წარმოადგენდა პატრონყმური მონარქიზმით, განმტკიცებული სამხედრო არისტოკრატიით. XII საუკუნის ძლევამოსილი საქართველო კლასიკური ფეოდალიზმის ქვეყანაა [კეკელიძე 1971:146]. პატრონყმობა ფეოდალიზმის სიუზერენულ-ვასალური ურთიერთობის ქართული ფორმა იყო. იგი ფეოდალიზმის განვითარების უმაღლეს ფაზას წარმოად-გენდა. შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება პატრონყმური დამოკიდებულებით იყო მოწესრიგებული, რომელსაც გააჩნდა მისთვის დამახასია-თებელი ნიშან-თვისებები, რაც მის სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსსა და ფორმას განსაზღვრავდა. „პატრონყმურ დამოკიდებულებაში არავინ არავისი მონა არ არის“ [ანჩაბაძე 1979:81]. ქართული სახელმწიფოს საზოგადოებრივი წეს-წყობილების ეროვნული ფორმა – პატრონყმობა, პატრონსა და ყმას შორის სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ეთიკური ვალდებულებებით რეგულირებული ურთიერთობაა. პატრონი არა მარტო ზემდგომი იყო თავისი ვასალისა, არამედ მას გარკვეული ეკონომიკური და მორალური ვალდებულებებიც გააჩნდა ვასალის წინაშე და მოვალე იყო, ისინი პირნათლად შეესრულებინა, რაც პატრონსა და ყმას შორის ურთიერთგარანტიის ატმოსფეროს ქმნიდა. „საქართველოში პატრონყმური წყობილების პირობებში ცენტრალური სახელმწიფო იდეის გამარჯვების, ამ მრავალმხრივად საგულისხმო მოვლენის ერთი აპექტი ისიცაა, რომ სოციალურ ერთეულთა ინტრესები პიროვნებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულებაში მტკიცედ იყო რეგულირებული და სახელმწიფოებრივი იდეალი და სოციალური ჰარმონია ერთმანეთს არ თიშავდა“ [ლორთქიფანიძე 1963: 131]. ქართულ პატრონყმურ მონარქიაში მეფე „მხოლოდ ყველაზე მაღალი პატრონი იყო“ [იმედაშვილი 1968: 80]. პატრონსა და ვასალს შორის გარკვეული უფლება-ვალდებულებებით მოწესრიგებული ურთიერთობა მთელს ერს მეფიდან გლეხამდე ერთ მთლიანობად კრავდა.

სიუზერენულ-ვასალურ ორმხრივი უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულ პატრონყმურ ურთიერთობაში სოციალურ ერთეულთა ინტერესები მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული და სახელმწიფოებრივი იდეალი სოციალურ ჰარმონიას გულისხმობდა.

პატრონისა და ვასალის ერთგულებაზე იყო აგებული საქართველოს ცხოვრება. პატრონყმური მოვალეობის, პატრონყმური ერთგულების დაცვამ წარმოშვა სამხედრო კლასი „მის ყველაზე პოპულარულ ფორმაში – რაინდულ კორპორაციაში“ [იმედაშვილი 1968: 75]. პატრონყმური სისტემის, მეფის დამცველი ძალა იყო „პიროვნულად რჩეულ მეომართა წრე, რომლის მთავარ ბირთვს რაინდობა წარმოადგენდა“ [იმედაშვილი 1968: 111]. პატრონყმური ურთიერთობა ეყრდნობოდა გვაროვნული სოციალურ-ეკონომი-კური და მორალური პრივილეგიების აღიარებას. ამდენად, რაინდული არისტოკრატიის მამა-პაპეული მიწა, სარჩო-საბადებელი და მემკვიდრეობითი პრივილეგიები მათ მიერ წარსულსა და აწმყოში სამხედრო ღვაწლითა და სისხლით იყო შეძენილი. რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალური კეთილდღეობა და დიდი კულტურული აღორძინება პატრონყმური სახელმწიფო წესწყობილების სიკეთეს წარმოადგენდა.

პატრონყმობა, რომელიც შუა საუკუნეების საზოგადოების სოციალური საყრდენი იყო, ამ საზოგადოების საყოველთაოდ გაზიარებულ ეთიკურ წარმოდგენებსა და იდეებს აერთიანებდა. ყველა ეს იდეა „ვეფხისტყაოსანში“ სრულად განხორციელდა და ამ ფენომენთან მიმართებაში ქართული კლასიკური პეროდის საერო ძეგლები და „ვეფხისტყაოსანი“ რელიეფურად თანხვდება ერთმანეთს. პატრონყმობის უმნიშვნელო-ვანესი პრინციპებია: პატრონის ერთგული სამსახური მთელი მორალურ-ფიზიკური შესაძლებლობებით და ამ სამსახურისათვის მუდმივი მზადყოფნა, სიუზერენისათვის თავგანწირვა, მისი დაცვა და ხელშეუხებლობა, მორჩილება და პატივისცემა, მეფე-პატრონის, როგორც უმაღლესი სიუზერენის, ცხებულება და ღვთისსწორობა, პატრონისაგან ყმის სამსახურის ჯეროვანი დაფასება, მისი ღირსებების აღიარება, ვასალზე ზრუნვა, მისი პატივისცემა გულუხვი მასპინძლობითა თუ ძღვნობა-ბოძებით, გლახაკთა დაწყალობება, პატრონის სამართლიანობა და გულმოწყალება, კლასობრივი ჰარმონია საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რის გამოც ფეოდალური სახელმწიფოს სოციალური ცხოვრება დიდ, შეთანხმებულ, მშვიდობიან ოჯახად მოიაზრება.

„ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი სოციალური ურთიერთობა ფეოდალური საქართველოს პატრონყმური ყოფის რეალურ სურათს ასახავს. ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის კლასიკური პერიოდის ძეგლები ქართული სახელმწიფოს ცხოვრების, სოციალური კეთილდღეობისა და პოლიტიკური ძლიერების მხატვრული უკუფენაა. ცნობილია, რომ შუა საუკუნეები დასავლეთში ფეოდალიზმის ზეობის ხანადაა აღარებული. ამავე პერიოდის წამყვან ლიტერატურად კი ფრანგული მიიჩნევა [მიხაილოვი 1976:9-10]. მეცნიერები ამას საფრანგეთში ფეოდალიზმის კლასიკური ფორმების არსებობით ხსნიან. ქართული ფეოდალიზმი, რომელიც XII-XIII საუკუნეებში კლასიკური ფორმით არსებობდა, დიდ სიხლოვეს ამჟღავნებდა ფრანგულ ფეოდალიზ-მთან, ხოლო ქართული პატრონყმური ურთიერთობა – ფრანგულ ვასალიტეტთან. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ქართული პატრონყმობა გასაოცრად ემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო

საუკუნეების ფეოდალურ წყობილებას“ [ჯავახიშვილი 1928:95]. ქართულმა პატრონყმობამ და დასავლურმა ვასალურ-სიუზერენულმა ურთიერთობამ „წარმოშვა ახალი კორპორაცია – რაინდობა, რომელიც ამ ეპოქის წამყვანი მოვლენაა“ [გოლიაძე,1988:202]. პატრონყმური ურთიერთობა წარმოადგენდა ფეოდალური ქვეყნის სოციალურ საყრდენს და იმ ქვაკუთხედს, რომელზედაც ვითარდებოდა ეპოქალური ჟანრის – სარაინდო რომანის მოქმედება. პატრონყმობა ეპოქის მსოფლ-ხედვამ და სოციალურმა რეალობამ ჟანრის ატრიბუტად აქცია. იგი სრულფასოვნად აისახა რუსთაველის უკვდავ პოემაში და როგორც ანალიზმა გვიჩვენა, ამ სიბრტყეში „ვეფხისტყაოსანი“, ისევე როგორც „ამირანდარეჯანიანი“ და ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის კლასიკური პეროდის საერო ძეგლები რელიეფურად თანხვდება ერთმანეთს.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, პატრონყმური ურთიერთობა მასში მონაწილე ორივე მხარისათვის ერთნაირად ხელსაყრელი და სასურველია. იცავს რა პატრონის ხელშეუხებლობასა და მის პიროვნებას ყოველგვარი ხელყოფისაგან, რაინდი ინარჩუნებს საკუთარ კეთილდღეობას და ყველა სიკეთეს მეფეს უმადლის, მისი მეშვე-ობით მოპოვებულად მიიჩნევს. ვაჭართუხუცესი უსენი მადლიერ მეფეს ასე მიმართავს: „რაცა სხვა მაქვს, ვისი არის ოქრო, თუნდა საჭურჭლეო, დედის მუცლით რა გამომყვა? მბოძებია თქვენგან მეო“ (სტრ. 1156). თავის მხრივ, მეფეებიც ღირსეულად აფასებენ რაინდთა ღვაწლსა და საგმირო საქმეებს. უმაღლეს პატრონთა მხრიდან რაინდებისადმი კეთილგანწყობისა და მადლიერების გამოხატვა „ვეფხისტყაოსანში“ ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება გასაოცარი გულუხვობისა და განუზომელი გაცემა-ბოძების სახით.

პატრონყმობა სწორედ ისე მოიაზრებდა პატრონისა და ვასალის ინტერესების განუყოფლობასა და გადაჯაჭვულობას, როგორც ამ ტერმინის გრაფიკული გამოსა-ხულება გამოხატავს. მეფის თავგანწირული დაცვა, პატრონის უანგარო სამსახური და პატრონყმური ერთგულება „ვეფხისტყაოსნის“ პატრონყმობის უმნიშვნელოვანესი პრინციპებია.

მეფე სახელმწიფოს ერთიანობისა და ძლევამოსილების სიმბოლოა. იგი „სიმბოლურად გამოხატავს მთელ ერს. მეფის იდეისა და პიროვნების დაცვა სახელმწიფოს ერთიანობისა და ძლიერების პირობაა“ [იმედაშვილი,1968:80]. „ვეფხისტყაოსანში“ მეფე „ღვთის ხატად ქმნილი არსებაა, რასაც შოთა რუსთაველი ბიბლიურს დამყარებული თვალთახედვით წარმოაჩენს: „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“ [სულავა 2009: 112].

მონარქის ღვთივრჩეულობის იდეიდან მომდინარე ხელმწიფის უზენაესი ავტორიტეტისა და სამეფო პერსონის ხელშეუხებლობის, ისევე, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, მისი აწმყოსა და მომავლის დაცვა „ვეფხისტყაოსანში“ რჩეულ რაინდთა წრის უმთავრესი მოვალეობა და ამავდროულად, უდიდესი ღირსება და პატივია.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, მეფეებს ერთნაირად აქვთ გაცნობიერებული რაინდის ძლიერი ფიგურის არსებობის აუცილებლობა და მისი შეუცვლელი მნიშვნე-ლობა. მეფის, როგორც ყველაზე უმაღლესი პატრონის, მხრიდან რაინდების ღირსებების დაფასება და მათთვის ხელმწიფის საკადრი პატივის მიგება სხვადასხვაგვარადაა გამოხატული ძღვნობა-

ჩუქების, შემოსვის, მათთვის გამართული ნადირობისა და ნადიმის, ასპარეზობის, კარვის დადგმის, მიგებებისა თუ გაცილების სახით.

იმ იდეებს შორის, რომელიც პატრონყმურმა ურთიერთობამ განსაზღვრა, პატრო-ნის მსახურებისა და ერთგულების იდეასთან ერთად, „ვეფხისტყაოსანში“ გამორჩეუ-ლად აქცენტირებულია უმაღლესი სიუზერენის – ხელმწიფის, ღვთისსწორობისა და ხელშეუხებლობის, სამეფო პიროვნებისადმი უაღრესი მოკრძალების იდეალი. მეფეს მეფური ღირსება აქვს ყოველგვარ სიტუაციაში. ამდენად, ხელმწიფე მტერიც რომ იყოს, მასზე მოსაკლავად ხელის აღმართვა დაუშვებელია. რაინდები განსაკუთრებით იცავენ მეფის ღვთივგვირგვინოსნობის უზენაეს უფლებას და არა მხოლოდ თავგანწირვით ემსახურებიან საკუთარ პატრონს, არამედ არ ებრძვიან სხვა ქვეყნის მეფეებსაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მათი მტრები არიან. ხელმწიფესთან პირისპირ შეყრას რაინდები ყოველთვის თავს არიდებენ, მაგრამ შექმნილი ვითარების გათვალისწინებით თუკი ეს გარდაუვალია, მეფის ხელშეუხებლობას ყოველთვის უკიდურესად იცავენ.

„ვეფხისტყაოსანში“, ისევე როგორც „ამირანდარეჯანიანში“ ზემოთქმულის პარალელურად, თანაარსებობს მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრინციპი – ესაა უზენაესი სამართლიანობის პრინციპი. ხელმწიფეებს უმაღლეს ძალაუფლებასთან ერთად უმაღლესი პასუხისმგებლობაც ეკისრებათ – სამართლიანობის დაცვა. როცა მონარქთა მხრიდან ადგილი აქვს ამ ვალდებულების უგულებელყოფას, რაინდი უფლებამოსილია, ამის შესახებ მიანიშნოს მეფეს და ყველაფერი, რაც შემდგომ ხდება, დარღვეული წონასწორობის აღდგენას ემსახურება.

საზოგადოდ, დასავლურ და აღმოსავლურ სარაინდო რომანებში, მეფეები სწრაფად აღადგენენ მათ მიერ დარღვეულ სამართლიანობას, რის შემდეგაც მეფე-პატრონსა და რაინდს შორის იდილიურ ურთიერთობას აღარაფერი აბრკოლებს.

მეფის მიერ სამართლიანობის პრინციპის დაცვისა და დარღვეული სამართლის აღდგენის საკითხი „ვეფხისტყაოსანში“ მრავალმხრივ არის გართულებული. ამ პრობ-ლემის მრავალასპექტიან სიძნელეებს შორის ინდივიდის პიროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოსა და პიროვნების დაპირისპირების საკითხებიცაა. სამართლიანობა მეფეების ვალდებულება და აუცილებელი თვისებაა. ის დასავლური და აღმოსავლური სარაინდო რომანის მხატვრულ სინამდვილეში ერთნაირი გამძაფრებული საჭიროებით მოეთხოვებათ ხელმწიფეებს, მაგრამ არსებითად განსხვავდება თვითონ სამართლი-ანობის საფუძველი. სარაინდო რომანების სამართლიანობის უკან ფეოდალური სამართლის, სარაინდო კოდექსისა და საკარო ეტიკეტის ნორმები დგას. „ვეფხისტყა-ოსანის“ სამართალი სრულიად სხვა საყრდენს ეფუძნება. „ვეფხისტყაოსანში“ არსებობის, ადამიანის სიცოცხლის საფუძველი სიყვარულია. ყოველგვარი ურთიერ-თობა თუ პერსონაჟთა ქცევა პოემაში სიყვარულით არის განსაზღვრული. ამდენად, „ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე მთავარი კანონი სიყვარულია. სიყვარულია ყოველგვარი წონასწორობისა და ჰარმონიის საფუძველი პოემაში. „მართალი სამართლისა“ და უმაღლესი სამართლიანობის საფუძველიც სიყვარულია. ინდოეთის მეფე – ფარსადანი, სწორედ მაშინ უშვებს შეცდომას და არღვევს სამართალს, როცა იგი რუსთველისეული სამართლიანობის საფუძველს – სიყვარულის პრინციპს, ღალატობს და

საკუთარ ქვეყანას, ტახტს, ერთადერთ შვილს, შვილივით გაზრდილ უფლიწულს სხვა პრინციპებს უქვემდებარებს. ეს თავისი ქვეყნის მოამაგე ხელმწიფის უდიდესი ტრაგედიის დასაბამი შეიქმნება. ინდოეთის მეფის მიერ ერთხელ დაშვებული შეცდომა და ერთხელ დარღვეული სამართალი გახდება მიზეზი ინდოეთში სასიძოდ მოწვეული უდანაშაულო უფლისწულის – ხვარაზმშას მკვლელობისა, ფარსადან მეფის დის თვითმკვლელობისა, ერთადერთი ქალიშვილისა და ტახტის მემკვიდრის უგზო-უკვლოდ გაუჩინარებისა, ინდოეთის ამირბარისა და ყველაზე რჩეული რაინდის ინდოეთიდან გადაკარგვისა, ძლიერი ქვეყნის კეთილდღეობის, მისი უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენებისა და თავად ფარსადან მეფის პიროვნული თუ ყოველგვარი ტრაგედიისა. მეფე ფარსადანი ისე კვდება, რომ ვერ ახერხებს მისი ერთი უსამართლო გადაწყვეტილებით დარღვეული სამართლიანობის თუნდაც მცირედით აღდგენას. ნესტანსა და ტარიელს მრავალი წელი დასჭირდებათ, ვიდრე მძიმე განსაცდლესა და ფიზიკურ განადგურებას შემთხვევისა და ღვთის წყალობით არაერთხელ გადარჩენილები სამშობლოში დაბრუნდებიან და ქვეყანას კეთილდღეობას აღუდგენენ.

„მოსამართლე“ და „მოწყალე“ ხელმწიფე შუა საუკუნეების საქართველოს ისტო-რიული რეალობა, „ვეფხისტყაოსნის“ ცენტრალური ფიგურა და იდეალია. „ამირანდა-რეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ მეფეები, საზოგადოდ, სამართლიანნი, უხვნი, მოწყალენი არიან. მეფე-პერსონაჟის აუცილებელი თვისებებია: გულუხვობა და „საბოძვარხშირობა“, სულგრძელობა და თანაგრძნობის უნარი. ორივე ძეგლის მიხედვით, მეფისათვის და საერთოდ, პატრონისათვის, გაცემა, გულუხვობა, ჩუქება, სოციალურ კიბეზე მასზე დაბლა მდგომთა გაკითხვა, შეწყალება, ზნეობრივ ვალდებულებადაა ქცეული. „ვეფხისტყაოსანი“ და „ამირანდარეჯანიანი“ არ იცნობს მე-ფეს, რომელიც არ არის გულუხვობის მაგალითი და გაცემა-ბოძების მხრივ პირველი პერსონა. გაცემა მეფეთა განსაკუთრებული ღირსება და ყველაზე დიდი სახელია. დიდთა და მცირეთათვის „ზეცით ნაბუქალი“ წყალობა, უხვი დასაჩუქრება, ვასალთა „დამოსვა“, მათთვის გამართული ნადირობა, ნადიმი და ასპარეზობა, კარვის დადგმა, მიგებება თუ გაცილება, მეფის კმაყოფილების, ვასალებისადმი მისი პატივისცემის გამომხატველია და უმაღლესი სიუზერენის ღვთივგვირგვინოსნობას, ღირსეულობასა და სამართლიანობას უსვამს ხაზს. შოთა რუსთაველი, ისევე როგორც მოსე ხონელი აღნიშნულის აქცენტირებასა და ჩვენებას საჭიროდ მიიჩნევენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „მეფეთა შიგან სიუხვეს“ უფრო აღმატებული მსოფლმხედველობრივი დატვირთვა ენიჭება. მორალი: „რასაცა გასცემ შენია, რასც არა, დაკარგულია“ – ეთიკური კოდექსის სახეს ატარებს და მეფეთა მხრიდან პოლიტიკის რანგში აყვანილი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის კეთილდღეობას.

პატრონსა და ვასალს შორის მეგობრული განწყობილება „ვეფხისტყაოსნის“ პატრონყმობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი და იდეალია. რაინდების თავგანწირული სამსახურით მეფე-პატრონებისადმი და ამ უკანასკნელთა მიერ მათზე ზრუნვით, რაინდის არსებობის გარდაუვალობის გაცნობიერებითა და მათი გამორჩე-ული პატივისცემით, მოსე ხონელის ქმნილებაც თავიდან ბოლომდე პატრონსა და ვასალს შორის

მეგობრული განწყობილების დადასტურებას წარმოადგენს. თუმცა ამ მეგობრული ურთიერთობის, ისევე როგორც დასავლური და აღმოსავლური სარაინდო რომანის პატრონყმობის საფუძველი შუა საუკუნეების ფეოდალური სამართალი და ერთმანეთის ინტერესებით გადაჯაჭვული საზოგადოებრივი დამოკიდებულებაა. აღნიშნულისაგან განსხვავებით, „ვეფხისტყაოსნის“ პატრონყმობა პატრონსა და ვასალს შორის ისეთი ურთიერთობაა, რომელშიც ყველაზე უზენაესი სამართლიანობაც, ყველაზე დიდი ვალდებულებაც და ცხოვრების კანონიც ერთია – სიყვარული.

რუსთაველისათვის ორგანული და საზოგადოდ, დამახასიათებელია ყველა თემის განწყობილების, გრძნობის სფეროში გადატანა. „ვეფხისტყაოსნის“ პატრონყმობა სიყვარულის ღრმერთზე მოძღვრების – ქრისტიანობის, ნაყოფია. რუსთაველის პატრონყმობა ქრისტიანული სიყვარულის ერთ-ერთი სახეობის, კერძოდ, მოყვასის სიყვარულის გამოვლენაა. სიყვარულის თემა „ვეფხისტყაოსანში“ უფართოეს მასშტაბებს იძენს და პატრონყმობას მოყვასის სიყვარულის სახეობად წარმოგვიდგენს. ასე გააზრე-ბული და სიყვარულით მართული პატრონყმური ინსტიტუტი „ვეფხისტყაოსანში“ წარმოშობს ახალ ტიპს, ახალ სახეებს პატრონებისა და მეფე-პატრონებისა.

სიყვარული და ღირსების გრძნობა ხდის სრულიად განსხვავებულსა და ახლე-ბურს ავთანდილისა და შერმადინის ურთიერთობას. ავთანდილის მესაიდუმლე, მის მოყმეებში რჩეული რაინდი – შერმადინი, პოემის დასაწყისიდან მის დასასრულამდე არაბეთის სპასპეტის ქრისტიანული სიყვარულისა და განუწყვეტელი ზრუნვის ობიექტია. „ვართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა“ (სტრ.159), – მიმართავს შერმადინს მისით მოიმედე და კმაყოფილი ავთანდილი. შერმადინის, ასმათის პატრონებთან დამოკიდებულება, ისევე როგორც ავთანდილისა და როსტევანის ურთიერთობა, სრულყოფილად წარმოაჩენს, როგორ არის გაგებული „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროში პატრონყმური ინსტიტუტი და მისი მზარდი კეთილდღეობა.

სიყვარულზე დამყარებული და გამორჩეულია როსტევან მეფის ავთანდილთან დამოკიდებულება. არაბეთის სპასპეტი, უებრო რაინდი, ბრძენი, განათლებული, ყველა ღირსების ჭეშმარიტად მატარებელი ავთანდილი, ყოველმხრივ ფასდაუდებლად ძვირფასია როსტევანისათვის, მაგრამ ყველაფერს ჭარბობს მეფის დიდი, მამობრივი სიყვარული ავთანდილის მიმართ. ავთანდილისადმი გულწრფელი, მამა-შვილური სიყვარულის გამო, რომელიც ვერ თავსდება პატრონისა და ვასალის ურთიერთობის ფეოდალური სამართლით გათვალისწინებული ნორმების ჩარჩოებში, როსტევანი მეფეთა ახალი სახეების: თინათინის, ავთანდილის, ტარიელის, ნესტანის გვერდით დამსახურებულად იმკვიდრებს ადგილს „ვეფხისტყაოსნის“ მეფე-პერსონაჟების გალერეაში.

ვასალიტეტის უაღრესად განვითარებულმა ქართულმა ფორმამ – პატრონყმობამ, პატრონსა და ვასალს შორის არსებული ორმხრივი ვალდებულებებითა და მეგობრული განწყობილებით შუა საუკენეების ქართულ საერო ძეგლებსა და „ვეფხისტყაოსანში“ ჰუმანური, განვითარებული პატრონყმური ინსტიტუტის სახით ჰპოვა ასახვა. თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანული სიყვარული და რუსთაველის სიყვარულზე დაფუძნებული მსოფლგანცდა არის ახალი საფეხური ჰუმანიზმისა და კიდევ ერთი დამატებითი პირობა

„ვეფხისტყაოსნის“ პატრონყმობის ახლებური გააზრებისა, მისი სულ სხვა სიმაღლეზე აყვანისა.

ლიტერატურა:

1. ანჩაბაძე ზ. (1979): საქართველოს ისტორიის ნარკვევები 8 ტომად. ტომი 3, საქართველო XI-XV საუკუნეებში, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

2. გოლიაძე ო. (1988): „ამირანდარეჯანიანის“ ლიტერატურული ეტიკეტისათვის, კრიტიკა, № 1, 202-206.

3. იმედაშვილი გ. (1968): ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ.: „მეცნიერება“.

4. კეკელიძე კ. (1971): რუსთველოლოგიური ნარკვევები. თბ.: „მერანი“.

5. კეკელიძე კ. (1979): შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ.: „განათლება“.

6. ლორთქიფანიძე მ. (1963): ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბილისი : საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა.

7.რუსთაველი შოთა (1966): „ვეფხისტყაოსანი“, სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი, ს. ქობულაძე, თბ.: „საბჭოთა საქართველო“.

8.სულავა ნ. (2009): „ვეფხისტყაოსანი“ – მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა, თბ.: „ნეკერი“.

9. ქასრაშვილი მ. (1989): რაინდული ინსტიტუტის ერთი თავისებურება კლასიკური ხანის ქართულ ლიტერატურაში, მაცნე, № 4, 12-18.

10.ხონელი მ. (1967): „ამირანდარეჯანიანი“. თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“.

11. ჯავახიშვილი ი. (1965): ქართველი ერის ისტორია, II. თბ.: „საბჭოთა საქართველო“.

12. ჯავახიშვილი ი. (1928): ქართული სამართლის ისტორია, I. ტფილისის უნტ-ის გამ-ბა.

13. Михаилов (1976): Французский рыцарский роман и вопросы типологии жанра в средневековой литературе, Москва, 1976.

Ekaterine Gogiashvili

The vassality of developed feudalism and the vassality of „The Knight in the Panther’s Skin“ – patronkmoba as a cultural-historical phenomenon

Abstrsct

The highly developed Georgian form of vassality _ patronkmoba was reflected in the medieval Georgian secular monuments and the „The Knight in the Panther’s Skin“ in the form of a humane, well-developed vassal institution with the mutual obligations and friendly attitude between the patron and the vassal. Yet „The Knight in the Panther’s Skin's“ Christian love and a sense of a world based on Rustaveli's love is a new stage in humanism and another additional condition for a new understanding of „The Knight in the Panther’s Skin's“ vassality, taking him to a whole new height.